ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01210682685**
თარიღი: **09/03/2021**
პინი: **2127**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2021 წლის 26 თებერვლის თქვენი N 10-01210573397-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ბეშენოვას ქუჩა N 9_ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.21.001.524) სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას (AR1744902), გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ტერიტორიის განაშენიანების შესაბამისად ბეშენოვას ქუჩაზე მოძრაობს ერთი საქალაქო ტიპის ავტობუსი. ავტობუსის გაჩერება საფეხმავლო მისაწვდომ მანძილზეა. ასევე, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

მიმდებარე ტერიტორიაზე საქვეითე ინფრასტრუქტურის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გზას გააჩნია ტროტუარი. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან ავტობუსის გაჩერებამდე ქვეითი უსაფრთხოდ გადაადგილდება.

საავტობუსე ქსელის გაუმჯობესების შემდგომ, მოსალოდნელია მიმდებარე ტერიტორიებზე ძირითადი გამტარი კვანძების რაიმე დატვირთული მიმართულებების საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი არქიტექტურული პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის (AR1744902) შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი